ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 22 სექტემბერი № 1589

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა-იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. **ტელეფონი № 372,**

კვირას, 23 სექტ. ქართული თეატრი მზერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პირველად ახალი პიესა

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქმედებად თხზ. დ. კლდიაშვილისა.

II

პირველი ბუზი

კომედია 3 მოქმედებად თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, მდივანი, გარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, გივიშვილისა და სხვ.; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, სარჯველაძე, მირიანაშვილი, ურუშაძე, და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

ანტრაქტებში დაუკრავს ბ. ლიაიკოს მებალალაიკეთა ხორო.

მზადდება შემდეგი ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები“ კომ. 3 მოქ.; „ჯადო სიყვარულისა“ დრამა 4 მოქ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

პ. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ექიმის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (·(წლ)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ძლიერ იაფად იყიდება 80 ცალი ჯგუფად გადაღებული სურათები **ქართველი მწერლებისა.** შედგენილი და გამოცემული ტ. მომცემლიძის მიერ. მოითხოვეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (3—1).

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ე ქ ი მ ი

კ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მკურნალი-ქალი

მ ა რ ი ა მ ბ ა ქ რ ა ძ ე

იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—3)

მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებას:

კავკასიის მე-7 ბატალიონის უმცროს ექიმს კოლეჟსკი ასესორს თ ი კ ა ნ ა ძ ე ს ებოძა ნადვორნი სოვეტნიკობა.

აქსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ილია რ ა ზ მ ა ძ ე გადაყვანილ იქმნა იმავე თანამდებობაზე ტფილისში; ტფილისისა—სიმონ დ ე კ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ი აქსტაფაში და ბათუმისა—მიხეილ ნ ი კ ო ლ ა ვ ა ახალ-სენაკში.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების მოხელენი: ხარიტონ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, პავლე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რაჟდენ მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, სერაპიონ გ ა ბ უ ნ ი ა და რაჟდენ ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

დეპეშები

ქუთაისი, 21 სექტემბერი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სტუდენტებს დაჰბრალდა მხოლოდ მყუდროების დარღვევა და ამისათვის დაჯარიმებულ იქმნენ.

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

20 სექტემბერი

პეტერბურგი. 20 სექტემბერს პეტერბურგში დაბრუნდა სახელმწიფო კონტროლერი გენ. ლობკო.

ბუდაპეშტი. ამტკიცებენ, რომ გუშინდელ არჩევნებზე მთავრობის მომხრე პარტიამ გაიმარჯვაო; ოპოზიციის ყველა პარტიებს პარლამენტში ეყოლებათ ერთ მესამედზე ნაკლები დეპუტატი. გაზეთები აღნიშვნენ სახალხო-კლერიკალურ პარტიის საკვირველ შემცირებას. 293 დეპუტატისაგან მთავრობის მომხრე 197-ია, 52—კოშუტის პარტიისა, 14—კლერიკალურ სახალხო პარტიისა, 7 დეპუტატი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის: არჩეულია აგრეთვე ერთი დემოკრატი და 3 სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენელი.

როსტოვი-დონზე. აქ ცნობა მოვიდა, რომ ვლადიკავკავის რკინის გზის გადაკეთების საქმე გადაწყვეტილიაო.

ტიუმენი. თბილი ამინდია, თოვლი დადნა.

ვარშავა. ამ კვირაში დასრულდა იმ საგანგებო კომისიის სხდომები, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პოლონეთის გუბერნიების საგლეხო საქმის განხილვა. კომისიამ წარუდგინა გენერალ-გუბერნატორს გლეხთა მიწად-მფლობელობის, გარდასახადების და მართვა-გამგეობის მოწესრიგების პროექტი.

კიევი. დილის რვა საათზე ქალაქ კოვროვის 18 წლის მოქალაქე კოპეიკინი მივიდა ფრეიდისის საათის მაღაზიაში ალექსანდროვის ქუჩაზე და მოითხოვა საათის ძეწკვი; ამ დროს უეცრად ამოიღო რევოლვერი, ესროლა ფრეიდისს და დასჭრა კისერში. შემდეგ კოპეიკინი მაღაზიიდან გავარდა და აპირებდა გაქცევას, მაგრამ დაჭრილი და ხალხი გამოეკიდა ბოროტ-განმზრახველს; აქაურ ელევატორის ზედამხედველი წინ გადაეღობა კოპეიკინს. უკანასკნელმა მასაც ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცდინა. ბოლოს კოპეიკინი დაატუსაღეს. პოლიციაში განაცხადა, მაღაზიის გაცარცვა მინდოდაო.

მოსკოვი. 20 სექტემბერს აქ მოასვენეს ვენევიტინოვის გვამი; დასაფლავება მოხდება დონის მონასტრის სასაფლაოზე.

ჰელსინგფორსი. „ფინლიანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ამიერიდან მართლმადიდებელ ეკკლესიებში აღარ წაიკითხონ უმაღლესი ბრძანებანი და მთავრობის განკარგულებანი, არამედ საეკლესიო-სამრევლო სახლებში, ქალაქ ადგილებში ან საქალაქო მმართველობაში ან სასამართლოში. დღემდის ყველა ხსენებული ბრძანება-განკარგულებანი ხალხს ეცხადებოდა ფინლიანდიაში ეკკლესიებში, როგორც ეს წესად აქვთ ლიუტერანებს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. «გოლოს»-ს სწერენ ვაშინგტონიდან: რუზველტმა არხის კომისიის თავმჯდომარე ადმირალი უოკერი დაიბარა და ელაპარაკა, რომელი არხი ემჯობინება—ნიკარაგუაზე გაყვანილი, თუ პანამაზე.

«მორნინგ პოსტ»-საც დეპეშა მოსვლია: «ორივე არხის მოთავენი ძლიერ აღელდნენ, როცა გაიგეს, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი შეთანხმებულან და ახალი ხელშეკრულობა შეუდგენიათ არხის თაობაზე. პანამის ამხანაგობამ გიუტენს დაავალა, ჩვენი საქმე შეერთებულ შტატებს მიჰყიდე 150 მილ. დოლ., მაგრამ ყველანი ჰფიქრობენ, ამერიკის მთავრობა 50 მილიონზე მეტს არას დროს არ მისცემს ამხანაგობასაო».

✿ როცა კონგრესი შეიკრიბება, ახალ კანონ-პროექტს წარუდგენენ განსახილველად და დასამტკიცებლად. ამ კანონ-პროექტში ზედ მიწევნით იქმნება აღნიშნული, თუ რა შემთხვევაში და რა ნაირად უნდა გადასცეს ხოლმე პრეზიდენტმა თავისი თანამდებობა და უფლება ვიცე-პრეზიდენტს. თუ რუზველტმა თავისი თანამდებობის აღსრულება რაიმე მიზეზით ვერ შეიძლო, ან უბედურება შეემთხვა რამე, კანონით მის მოადგილედ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე მ. გენდერსონი უნდა იყოს, მაგრამ მ. გენდერსონი შეერთებულ შტატებში არაა დაბადებული, შოტლანდიიდან გადმოსახლებულა და ამერიკის მოქალაქეობა მიუღია, ამიტომ, კანონის ძალით, პრეზიდენტად დადგომა არ შეუძლიან.

ამ ახალი კანონ-პროექტის გარდა კონგრესი საგარეო ხელ-შეკრულობებსა და ნიკარაგუას არხის პირობას განიხილავს. ამიტომ კონგრესის მომავალი კრება მეტად საყურადღებო იქმნება.

✿ უცხოეთის გაზეთები სწერენ: საქმის გარჩევის დროს, სასამართლომ ჰკითხა ჩოლგოსს: «რად ჩაიდინე ეგ საქმეო?» ჩოლგოსმა უპასუხა:

«პრეზიდენტის მოკვლას ჩემ მოვალეობად ვსთვლიდი. მშვენივრად მესმოდა, თუ რას ვჩიოდი. რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემ საქციელს, ან თუ მე თითონ რა მომივიდოდა,—ყველაფერი კარგად მქონდა აწონილ-დაწონილი. მით მაინც არაფერს არ შევუშინდი. ვიდრე პრეზიდენტს მოვკლავდი, 8 დღის წინად გაზეთებში წავიკითხე, პრეზიდენტი ბუფალოში გამოფენის სანახავად მიდის-თქო; მაშინვე რევოლვერი ვიყიდე და ჩიკაგოდან ბუფალოში წამოველ. ყოველ დღე ორჯელ გამოფენაზე დავდიოდი და ყველაფერს ვათვალიერებდი. როცა პრეზიდენტი ბუფალოში მოვიდა, დიდ-ძალი ხალხი წავიდა მისაგებებლად, წაველ მეც. მინდოდა ახლო მივსულიყავ, მაგრამ პრეზიდენტს ბევრი ხალხი ეხვია და ბევრი პოლიციელი ახლდა. მინდოდა მესროლა, მაგრამ შევშინდი, ვაი თუ ვერცარას გავხდე, და ტყუილად დამიჭირონ მეთქი. მეორე და მესამე დღესაც გამოფენაზე ვნახე პრეზიდენტი, მაგრამ ახლო ვერ მივედი. მესამე დღეს პრეზიდენტმა რომ თავისი უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა ახალ საგარეო პოლიტიკაზე, სულ მთლად მოვისმინე. ბოლოს მეოთხე დღეს პრეზიდენტი სამუსიკო დარბაზში მოვიდა. მეც იქ შევედი. რევოლვერი ხელსახოცში გავხვიე, ჯიბეში ვერ ჩავიდე, მეშინოდა, ვაი თუ გამივარდეს მეთქი. დაუპირდაპირდი პრეზიდენტს და ხელსახოცში გახვეული რევოლვერი ორჯელ ვესროლე. მინდოდა კიდევ მესროლა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ისე ღონივრად შემომკრა მუშტი პირისახეში, რომ იქვე წავიქეცი. მაშინ მთელი ქვეყანა მომესია, მეგონა ნამდვილად მომკლავენ მეთქი.

ყოველთვის მძულდა ჩვენი დროის მმართველობის წესები: არა მწამს არც მონარქია, არც რესპუბლიკა. მთელი ოთხი წელიწადი ანარქიზმის მოძღვრებას ვსწავლობდი და მუდამ ყოველი მთავრობის მტერი ვიყავი. მარტო სრულ თავისუფლებაზე დაფუძნებული საზოგადოება მწამსა.

ჩოლგოსს ოქტომბრის დამდეგს დასჯიან.

საფრანგეთი. «ეხო დე პარი» სწერს: პრეზიდენტი ლუბე პარიზში რუსეთს წავა. პრეზიდენტს ვალდეკ-რუსსო, დელკასე და გენერალი ბრიუჟერი გაჰყვებიან.

✿ «ლიბრ პაროლ»-ი იუწყება: მთავრობა პაპის მაურიგდა. ამ მორიგების ძალით პაპი პირობას აძლევს სამინისტროს, რომ ფრანგი კლერიკალები პოლიტიკურ საქმეებში არ გაერევიან. ამიტომ მთავრობა დადგენს კრებულების ბედის გადაწყვეტას საზოგადო არჩევნებამდე გადადებს. ეს კია, რომ «ლიბრ პაროლ»-ი განთქმულია თავისი სიცრუვით.

✿ ამ დღეებში იუსტიციის მინისტრი ცირკულიარით მისწერს დეპარტამენტების პროკურორებს და აუხსნის, როგორ უნდა აასრულონ კანონი ბერ-მონაზონთა კრებულების შესახებ.

✿ საბიუჯეტო კომისიამ ფინანსთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა და მთავრობის პროექტი რამდენამდე შესცვალა.

გერმანია. სოციალისტების კონგრესს ლიუბეკში რამდენიმე დღეს სულ ცნობილ ეკონომისტი ბერნშტეინის თაობაზე ჰქონდა დავა რაკი. 25 სექტემბერს დელეგატმა ჰაინემ ბერნშტეინის სასარგებლოდ რეზოლიუცია წარუდგინა, მაგრამ კონგრესმა 166 ხმის უმეტესობით 71 წინააღმდეგ უარ ჰყო ეს რეზოლიუცია. შემდეგ ბებელმა მოითხოვა, რომ ბერნშტეინის ორჭოფი ქცევა მკაცრად დაეგმოთ და კონგრესმაც 203 ხმის უმეტესობით 31 წინააღმდეგ მიიღო ბებელის რეზოლიუცია. კენჭის ყრაში ბერნშტეინსა და აუერს მონაწილეობა არ მიუღიათ. ბერნშტეინმა გამოაცხადა უსამართლოდ მექცევა კონგრესიო. ბებელმა უპასუხა: ამ რეზოლიუციით ამის თქმა სრულებითაც არ გვეწადა, ვითომ არ გენდობოდეთო. მაშინ ბერნშტეინმა სთქვა: მაშ კარგი მეც პასუხს გაგცემ თქვენ რეზოლიუციასაო.

დელეგატების მომეტებული ნაწილი ბერნშტეინის სიტყვებს ძლიერის «ვაშას» ძახილით შეეგება, უმცირესობა კი მკვდარივით გაჩუმებული იყო.

✿ ბერნშტეინის საქმის თაობაზე გაზეთი «ბერლ. ტაგ.»-ი სწერს:

«ეხლა სოციალისტების კონგრესზე ლიუბეკში ორი სხვა და-სხვა მიმართულების წარმომადგენელი ებრძვიან ერთმანეთს: ოპორტიუნისტი ბერნშტეინი და მარქსის თეორიის შეუცვლელი, მტკიცე მიმდევარი ბებელი. ბერნშტეინი იმ აზრისაა, რომ სოციალისტის დასი პრაქტიკულ რეფორმების ასრულებას უნდა ცდილობდეს და იმ ნაირად უნდა იქცეოდეს, როგორც ინგლისელ მუშების დასი იქცევაო. ბერნშტეინმა მას აქეთ უფრო გადაიკიდა ძველი სოციალისტები, როცა ბერლინელი სტუდენტების კრებაზე სოციალიზმის ძველი მოძღვრება მკაცრად გაარჩია. სოციალისტებმა მოითხოვეს კონგრესზე ბერნშტეინი გავკიცხოთო. ბერნშტეინმა უპასუხა თავის მოწინააღმდეგეებს: თქვენ ისეთივე სასტიკი წესების დაწესება გსურთ, როგორც რომის კათოლიკე ეკლესიას აქვს დაწესებულიო. სოციალისტი სრულებითაც არაა მოვალე, დასის მეთაურებს ყველაფერში ეთანხმებოდეს; პრაქტიკული რეფორმების შესრულება ნამდვილადაც არ შეუშლის ხელს და არას ავნებს საერთო-საზოგადო საქმესაო».

ოსმალეთი. ცნობილი ჩემბერლენის გაზეთი «ბირმინჰამ პოსტა»-ი არწმუნებს: დელკასემა და ლამზდორფმა მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტეს თუ ოსმალეთში რაიმე უწესოება მოხდა, მაშინ ოსმალეთის ფინანსებს საერთაშორისო კონტროლი დავუწესოთო.

ჩინეთი. დანიური გაზეთ «ნაციონალ ტიდენდე»-ში ერთი ძლიერ საყურადღებო ცნობა დაიბეჭდა: «რუსეთსა და გერმანიას დანციგში უმთავრესად მანჯურიაზე ჰქონდათ ლაპარაკი. რუსეთს სწადიან ოფიციალურად გამოაცხადოს, რომ მანჯურია რუსეთის სამფლობელოს შემოუერთოთო».

«ბერლინერ ტაგებლატ»-ის კორესპონდენტი იწერება დანიიდან: ნამდვილად დავრწმუნდი, რომ «ნაციონალ ტიდენდე»-ს ცნობა უტყუარია და მალე რუსეთი ოფიციალურად გამოაცხადებს: მანჯურია ჩემ საბძანებელს შემოუერთეო.

✿ პრინცმა ცუნმა ბოდიში მოიხადა გერმანიის იმპერატორთან და გერმანიაში მოგზაურობა დაიწყო; სხვათა შორის, კრუპის განთქმული ზარბაზნების ქარხანაც ენახა. იცის ჩინელმა, რა ნახოს და რა დაათვალიეროს ევროპაში! გერმანიის გარდა, ევროპის სხვა ქვეყნების ნახვაც ეწადა. ბოლოს ამბავი მოვიდა, პრინცს პეკინიდან დეპეშით მისწერეს, მოგზაურობას თავი დაანებე და საჩქაროთ ჩინეთში დაბრუნდიო.

ამ ამბის თაობაზე გერმ. გაზ. «პოსტა»-ი სწერს: «პრინცს პეკინიდან არავითარი დეპეშა არ მოსვლია. თითონ გერმანიის მთავრობას ჭკუაში არ მოუვიდა პრინცის მოგზაურობა, მისი ცნობის მოყვარეობა და მოსთხოვა, საჩქაროთ შინ დაბრუნდიო. არა თუ სხვა ქვეყნებში, თითონ გერმანიაში მოგზაურობის ნება აღარ მისცეს, იმიტომ, რომ ხალხი ყველგან დიდის აღტაცებით ეგებებოდა პრინცსაო».

სამხრეთ აფრიკა. «ფრანკფურტ ცაიტუნგა» სწერს: დოქტორ ლეიდსმა ამ დღეებში ავსტრიას პროტესტი გამოუცხადა: ინგლისს რად აძლევ ნებას, რომ ცხენებსა და ჯორებს ავსტრიაში ყიდულობსო. ამასთანა პროტესტი ლეიდსმა 1900 წლის იანვარში და მარტშიაც გამოუცხადა ავსტრიას და სთხოვა ცხენებსა და ჯორებს ნუ უჰყიდითო ინგლისსაო, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღია.

✿ ავსტრიის, გერმანიის და პორტუგალიის გარდა, შეერთებულმა შტატებმაც დაარღვია ნეიტრალიტეტი. მაკ-კინლეის დროს ინგლისი ცხენებსა და ჯორებს მომეტებულ ნაწილად ამერიკაში ყიდულობდა; ბურებმა ბევრჯერ გამოაცხადეს პროტესტი ამის წინააღმდეგ, მაგრამ მაკ-კინლეიმ არაფრად ჩააგდო ბურების ჩივილი. გაზეთები სწერენ: ახალ პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს განზრახვა აქვს, შეერთებულ შტატებში ცხენებისა და ჯორების სყიდვა აუკრძალოს ინგლისსაო.

✿ გაზ. «ტან»-ი იტყობინება: ინგლისელი აფიცრები ამ დღეებში პორტუგალიაში მოვიდნენ ჯორების საყიდლადაო.

✿ კიტჩენერის პროკლამაცია ძალაში შევიდა. პრეტორიიდან იწერებიან: 15 სექტემბერს (ახ. სტ.) ბურების 10 სარდალი დაატყვევეს; კიტჩენერის პროკლამაციის ძალით ეს სარდლები სამხრეთ-აფრიკიდან განდევნეს.

✿ «ტაიმს»-ს სწერენ ნატალიდან ზულუსების ქვეყანაში რომ ბურების ჯარი შევიდა, ისევ უკან წავიდაო. როგორც ჩანს გენერალ ბოტას ჯარები ისევ ჩრდილოეთისკენ ბრუნდებოდა.

ინგლისი. «დეილი მაილ»-ი არწმუნებს: რაც ხარჯთ-აღრიცხვაში დანიშნული ჰქონდა, მთავრობამ 375 მილიონით მეტი დახარჯა ომზედაო. ამიტომ მთავრობას პარლამენტისა ერიდება და მომავალ იანვრის გასულს და შეჰკრებს პალატებსაო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ გზათა მინისტრი თ. ხილკოვი იყო კავკასიის მთავარმართებელთან თ. გოლიცინთან. მინისტრთან იყვნენ სასტუმრო ლონდონში — ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი თ. დ. ზ. მელიქიშვილი, გენერალი ჩილიაევი და განჯის გუბერნატორი ლუცაუ.

◆ 20 სექტემბერს ტფილისში ჩამოვიდნენ რკინის გზების ტელეგრაფის მოხელეთა და ელექტრო ტეხნიკების წარმომადგენელთა კრების წევრები. კრება დღეს დაიწყებს მუშაობას და 22 სექტემბერს დაასრულებს. შემდეგ კრების წევრები დაათვალიერებენ რკინის გზების სხვა-და-სხვა დაწესებულებათ, ბაქოს, ბათუმს, ქუთაისს და ჰიათურის გზას და წავლენ ეკატერინოდარში, სადაც 3 ოქტომბრამდე კიდევ ექნებათ სხდომები.

◆ ოქტომბრის პირველ დღეებში დაიწყება ლექციების კითხვა ტფილისის საშუალო განათლების იაფ-ფასიან კურებზე. ამ სემესტრში გავლილი იქნება შემდეგი საგნები: სამღვთო სჯული, რუსულ ლიტერატურის ისტორია, გრამატიკა, რუსული ისტორია, სამშობლოს აღწერილობა, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ძველი ისტორია, ფიზიკა, ხიმია, ჰიგიენა, ფიზიოლოგია, გერმანული და ფრანგული ენები და კოსმოგრაფია.

◆ ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავჯდომარემ ბ-ნ ვ. სულხანიშვილმა და ხაზინადარმა პ. ყიფიანმა თავი დაანებეს თავიანთ თანამდებობებს. ამის გამო გუშინ სხდომა ჰქონდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბ-ნი ქართველიშვილი, ხოლო ხაზინადრად გ. დეკანოზიშვილი.

◆ გუშინ წინ, ხუთშაბათს, სხდომა ჰქონდა მასწავლებელ ქალთა საზოგადოების წევრებს. სხდომაზე აღნიშნეს, თუ რა ლექციები იქნება წაკითხული ამ ზამთარს ხსენებულ საზოგადოების სადგომში. წელს, სხვათა შორის, ლექციებს წაიკითხავს პოდპოლკოვნიკი მანტეიფელი, სამხედრო სასამართლოს გამომძიებელი.

◆ ქუთაისიდან „ივერია“-ს სწერენ, რომ იქ ამრიგად აპირებენ საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის დღესასწაულობას: 1) 25-ს სექტემბერს ქუთაისის საკრებულო ტაძარში უნდა გადახდილ იქმნას სამადლობელი პარაკლისი, 2) მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს უნდა გაეგზავნოს შესაფერი დეპეშა, 3) ქალაქი უნდა გაჩირაღდნდეს და საქალაქო ბაღში მოწვეულ იქმნას სამხედრო მუსიკა, 4) ეპეტიოს ამ დღესასწაულის სახსოვრად ღარიბ მოქალაქეთ მათზე დარჩენილი ვალი 1000 მანეთამდე, 5) შესდგეს დეპუტაცია ქალაქის მოურავისა და ხმოსანთაგან მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძესთან წარსადგენად.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ბ. ფრეზე წავიდა გორის მაზრაში.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს ბათუმიდან ატყობინებენ, რომ 23 სექტემბერს იქ მოხდება ქართველ საზოგადოების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც საგნად ექნება გამოსძებნოს საშუალებანი ადგილობრივ ქართულ სკოლის შესანახად.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ.“-ის სიტყვით, ბათუმის მცხოვრებთა ერთ წრეს განზრახვა აქვს მომავალ საქალაქო არჩევნებზე ქალაქის თავის ადგილზე წამოაყენოს თავ. გლ. ს. მიქელაძის კანდიდატურა.

◆ თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებისა, ქალაქის საბჭოებმა უნდა შესცვალონ აღმასრულებელ კომისიებისათვის არსებულ ინსტრუქციები. საქალაქო დებულების მე-103 მუხლის ძალით, საბჭოს უფლება აქვს აირჩიოს აღმასრულებელი კომისია, მაგრამ ეს კომისია უნდა იქმნეს ქალაქის გამგეობის მორჩილებაში და განკარგულებაში. ამასთანავე სპეციალისტ პირების მოწვევა ამისთანა კომისიაში შეუძლია მხოლოდ საბჭოს და საქმის მწარმოებელისა და გადამწერელისა — ქალაქის თავს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ განიხილა ქ. გორში დ. სურამის გლეხის დანიელ კოჟიაშვილის საქმე. კოჟიაშვილს მევახშეობა ბრალდებოდა და კიდეც დაუმტკიცეს ეს ბრალდება. ბრალდებული თურმე 40% მდე იღებდა ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული და სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ კვირას, 23 ენკენისთვეს, დაიწყება სწავლა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ვაჟების საკვირაო სკოლაში.

◆ მომავალ წელს პეტერბურგში მოხდება მთელის რუსეთის მერძევეთა კრება ზოგიერთ საჭირო საქმეების განხილვისათვის; უმთავრესი საქმე — რძისა და ერბოს ვაჭრობის მოწესრიგებაა.

◆ გუშინ, 21 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა განჯის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ნ. ა. ლუცაუ და სასტუმრო „კავკაზში“ ჩამოხტა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ტოლლეს, თაიროვისა და სხვა ქარხანას 30.000 თიხის ჯამები საიუბილეო დღესასწაულის დღეებში ილიუმინაციისათვის.

◆ ხმ. თაიროვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გასწმინდოს მისი ეზო ციციანთ კლდიდან ჩამოვარდნილ ზვავისაგან. გამგეობამ უარი უთხრა ამ თხოვნაზე ხმოსანს, მაგრამ ამასთანავე დაავალა ქალაქის ტეხნიკებს თვალ-ყური უგდონ ხსენებულ კლდეს სხვა უბედურების ასაცდენად.

◆ თ. კონსტანტინე დადეშქელიანს და ნიკო ფალავას, რომელთაც ბრალდებოდა ბოქაულის არსენიევის შეურაცხყოფა, გუშინ ტფილისის პალატამ სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ პოლიციის პირველს ნაწილში ოლგას საბებიო ინსტიტუტის ეზოში ნახეს მიგდებული ერთის თვის დაბადებული ბავშვი მდედრობითი სქესისა; ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

ჩვენ მოგვივიდა დასაბეჭდათ შემდეგი საბოლოოდ გარდაწყვეტილი პროგრამა მომავალ დღესასწაულისა:

24 სექტემბერს: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები, თავად-აზნაურნი, საპატიო მანდილოსნები და თავად-აზნაურთაგან შემდგარი საპატიო სადარაჯო რაზმი მიეგებებიან ტფილისის სადგურე უავგუსტოეს სტუმართ.

25 სექტემბერს: სიონის საკრებულო ტაძარში დილის 9 საათზე დაიწყება წირვა და $11^{1}/_{2}$ საათზე პანაშვიდი ღვთით განსვენებულთა იმპერატორთა სულის მოსახსენებლად.

26 სექტემბერს: დილის 9 საათზე თავად-აზნაურნი წარუდგებიან სასახლეში დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს; შემდეგ სიონის ტაძარში გარდახდილ იქნება წირვა, ხოლო 12 საათზე გუნიბის მოედანზე იქნება პარაკლისი. ნაშუადღევის 3 საათზე თავად-აზნაურობა და ქალაქი უმართავენ სადილს ჯარებს ვერაზე არტილერიის ყაზარმებთან. საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე სახაზინო თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

27 სექტემბერს: დილის 10 საათზე სახაზინო თეატრში გაიმართება წარმოდგენა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მცხოვრებთა წარმომადგენლებისა და დამსახურებულ ჯარისკაცთათვის. ნაშუადღევის 2 საათზე დიდუბის მინდორში გაიმართება სადილი და სახალხო სეირნობა იმავე წარმომადგენლებისათვის და ჯარის კაცთათვის. საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე, ტფ. არტისტიულ საზოგადოების შენობაში თავად-აზნაურთაგან გამართულ იქნება სადღესასწაულო სადილი. საღამოს ქალაქი და მიდამოები გაჩირაღდნებული იქნებიან; ახლო-მახლო მთებზე შუშხუნებს აუშვებენ.

28 სექტემბერს: ნაშუადღევის $12^{1}/_{2}$ საათზე „ტფილისის სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში გაიმართება საუზმე ქალაქ ტფილისისაგან. საღამოს 9 საათზე, „ტფ. კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში გაიმართება ჩაი თავად-აზნაურობისაგან.

29 სექტემბერს: ნაშუადღევის 1-ლ საათზე მთავარ-მართებელი გაუმართავს საუზმეს ტფილ. და ქუთ. გუბერნიების თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში, ბილეთებისა და ყოველგვარ ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართონ თავიანთ სამაზრო წინამძღოლებს.

კავკასიის გამოფენა

II

მიწად-მოქმედების განყოფილება

დიდი შრომა დასდო ამ განყოფილების მოსაწყობ-გასამართავად ახლად განსვენებულმა ვ. ნ.-ძემ გეევსკიმ. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა, ცოტა არიყოს, ხელი შეუშალა პირველ ხანებში ამ განყოფილების შევსებას, მაგრამ ს. ნ. ტიმოფეევმა და ა. ა. როლლოვმა, რომელნიც მეთაურობენ აქ, დიდი შრომა დასდეს ამ განყოფილების მოწყობას.

მიწად-მოქმედების განყოფილება მოთავსებულია გამოფენის უმთავრეს შენობის პირველსავე მისავალში. შეხვალთ თუ არა — მარჯვენა კუთხეში ტფილისის საბოტანიკო ბაღის ექსპონატებს დაინახავთ. აქ არის ძლიერ ბევრი — ხუთასამდე — სხვა და სხვა მცენარეთა თესლეული; ჩინეთიდამ, ამერიკიდამ და სხვა ქვეყნებიდამ გამოტანილი რამდენიმე ცალი ძვირფასის მცენა-

რეებისა ამშვენებენ განყოფილებას. აქვეა ბევრი ფოტოგრაფიული სურათები საბოტანიკო ბაღისა და სხვა და სხვა წიგნები ამ ბაღის გამგეობის მიერ შედგენილი და გამოცემული.

საბოტანიკო ბაღის გვერდით მოთავსებულია ყარაიაში არხების გაყვანით მომუშავე ამხანაგობა: გამოფენილია ყოველგვარი პურის მარცვალი, ქერი, ფეტვი, ბამბა და ბრინჯი (ჩალტიკი).

ძმათა ენფიანჯიანცებს დიდი შკაფი ჩამოუკიდიათ კედელზე და შიგ კოხტად ჩაულაგებიათ კახეთის მამულებში მოშენებულის თამბაქოს ნიმუშები.

შემდეგ რომ გაჰყვეთ კედელს, დაინახავთ ეგრედ წოდებულ ქუთაისის საცდელ მინდვრების ექსპონატებს; აქ არის: სიმინდი, ღომი, ფეტვი, ბოსტნეულობა, ბამბა, კანაფი, იონჯა; ისეთი მცენარეებიც არის აქ გამოფენილი, რომლის სახელები ქართულად არც-კი არის, რადგან ეს მცენარეები სულ ახლად არის უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ჩვენს ქვეყანაში; საცდელად ქუთაისის საცდელ მინდვრებში დაუთესიათ და მშვენივრადაც უხეირნია.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს წარმოუდგენია: სხვა და სხვა თესლეული და საქონლის საჭმელი მცენარეულობა, აგრეთვე წამლად სახმარებელი ბალახები. აქვეა ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და სკოლაში სახმარი სახელმძღვანელო.

ლამაზი ვიტრინა (შკაფი) გაუმართავს წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელს, რომელსაც აქ ისეთი ექსპონატები მოუთავსებია, რომ მნახველს ადვილად შეუძლია გაითვალისწინოს ამ სასწავლებლის შინაური ცხოვრება—შრომა. ბევრნაირი ყურძენი, ღვინო, ხილეული, ბოსტნეული, თაფლი და სხვ. ცხადად დაგვისურათებს ამ სასწავლებლის ნაყოფიერ მოქმედებას.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელის კანცელარიას მეტად საყურადღებო კოლექცია წარმოუდგენია: აქ არის მგონია სამასზე მეტი შუშა სხვა-და-სხვა თესლეულისა—ყოველ-გვარი პურისა, ქერისა, ფეტვისა, ბრინჯისა, ბალახეულისა და სხვა მცენარეთა; უფრო კი ბევრია ლენქორანიდამ (ბაქოს გუბერნია) გამოტანილი თესლეული ბრინჯისა. ეს დიდი კოლექცია შეგროვილია ახლად მიცვალებულის ვ. ნ. გეევსკის მეცადინეობით და ზედამხედველობით.

ლობიოს თესლები იმდენია აქ მოთავსებული, რომ მგონია არც კი დარჩენილა ისეთი ლობიო, რომ კავკასიაში მოდიოდეს და ამის თესლი ჩვენს გამოფენაზე არ იყოს.

აქვეა მოთავსებული ბევრ-გვარი წიგნი, რომელიც კი შეეხება კავკასიაში სამიწად-მოქმედო წარმოებას.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წარმოადგინა ამ განყოფილებაში თავის მუზეიდამ გამოტანილი თესლეულობა სხვა-და-სხვა მცენარეთა; აქვეა ფოტოგრაფიული სურათები მეურნეობის წარმოებისა—მიწად-მოქმედებისა, მებაღეობისა, მეაბრეშუმეობისა და სხვა.

შუაგული ამ განყოფილებისა დაუჭერიათ სხვა და სხვა გუბერნიებიდან და მაზრებიდან გამოგზავნილს ექსპონატებს; გამოტანილია ადმინისტრაციისა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს მოხელეთა დახმარებით: ქუთაისის, ტფილისის, განჯის, ბაქოს, ერევნის გუბერნიებიდან და ყარსის, ყუბანის და თერგის ოლქებიდან, მაგრამ ძნელად, რომ ექსპონატების გარჩევით გაითვალისწინოს კაცმა ამ ზემო-აღნიშნულ გუბერნიებში და ოლქებში მცხოვრებთა შინაური მდგომარეობა, ისე ცოტაა და უთავბოლოდ თავ-მოყრილი ამ ადგილებიდან მოკრებილი ექსპონატები. გული მოგიკვდებათ აქ გამოფენილი პური, სიმინდი, გინდა ბოსტნეული, ან სხვა რამე რომ ნახოთ. გაუმჯობესებას ამ დარგის მეურნეობისას აქ ძნელად თუ კაცი ნახავს: მგონია, ჩვენი ჯერ კურთხეული და მერე დაწყევლილი მამათ-მთავარი ადამიც უარეს ნაყოფს არ მიიღებდა თავის მიწად-ნამოქმედარისას...

ყველაზე უკეთესი ნიმუშები ისევ მსხვილ მესაკუთრეთ წარმოუდგენიათ: აბა, გასინჯეთ, რა მშვენიერი პურის მარცვალია ა. ბ. შელკოვნიკოვისა (განჯის გუბერნიიდან). რომელი პური—აბა ბრინჯი ნახეთ, ან ბამბა! ახლა სხვა განყოფილებებში დაათვალიერეთ ბ-ნ შელკოვნიკოვის ექსპონატები და მაშინ ადვილად მიხვდებით, რა გულ-მოდგინე, მამულის დიდი მოსიყვარულე და საქმის ბეჯითად მცოდნე და მმართველი ყოფილა ეს მეპატრონე. მერე ვინ არის იგი ან სად შეუსწავლია და როგორ შეჰყვარებია მამულის მოვლა-მოშენება?.. ბ-ნი შელკოვნიკოვი გვარდიაში ნამყოფი ოფიცერი გახლავთ, დიდი ხანია სამსახურისათვის თავი დაუნებებია და ერთიანად მამულის მოვლა-მოშენებას მისცემია. მარტო თავის მუყაითობით, საქმის სიყვარულით მხნედ შესდგომია მიწის მუშაობას და, როგორც ყველა მნახველი დაინახავს, არც შრომას უღალატნია ა. ბ. შელკოვნიკოვისათვის და არც იმის მიწას: მშვენიერი ნაყოფიერება ყოველის დარგის მეურნეობისა „გეოქ-თაფა“-ს მამულში (ესე ჰქვია ბ. შელკოვნიკოვის მამულს) ცხადად ამტკიცებს ამას. მკითხველის ყურადღება ცოტათი იმიტომ შევაჩერეთ ბ-ნ შელკოვნიკოვის მამულზე ლაპარაკით, რომ გვინდოდა გვეთქვა: კაცს ამაგრებს და ამშვენებს მხოლოდ შრომა და არა მარტო გვარიშვილობა...

თვითონ ხალხის წარმომადგენლობას ჩვენი გამოფენის სამიწად-მოქმედო განყოფილებაში მნახველი ნუ დაეძებს, და თუ ნახავს, იმასაც ცოტას და იმისიც დამამტკიცებელს, რომ ჩვენი სოფელი ძალიან ხელმოკლე და უმწეოა კიდევ. ამ მხრივ იმისათვის ას წელიწადს თითქმის უნაყოფოდ ჩაუვლია.

—მე.

**

21 სექტემბერს ცუდის ამინდის გამო კავკასიის სამრეწველო სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად ძალიან ნაკლებად მივიდა ხალხი.

**

გამოფენის ხილეულობის განყოფილებაში გორის მაზრის მემამულემ აზ. ფურცელაძემ და თ. მაჩაბელმა წარმოადგინა თავიანთ ბაღების ზამთრის ხილი.

ამავე განყოფილებაში მოვიდა ერევნიდან დიდრონი ატმები და ყურძენი.

**

გუშინ საქველ-მოქმედო საზოგადოების 50 მოსწავლე ქალი იყო გამოფენაზე. ბავშვები საცოდავ სანახაობას წარმოადგენდნენ, ისე დასველებულიყვნენ წვიმისაგან. ნეტა რათ დასჭირდათ ამისთანა ამინდში მოსწავლეების მოყვანა გამოფენაზე.

**

გუშინ წინ გამოფენაზე ყოფილა: დღისით—1365 კაცი, ამათგან 50 უფასოთ, და საღამოს—520, ამათგან 36 უფასოთ

თეატრი

ქართული თეატრი. „დაქცეული ოჯახი“, კომედია სუნდუკიანცისა. ქართველი „წარჩინებული“ საზოგადოება გაფიცულა—რაც უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა ეცადნენ ჩვენი არტისტები და დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, რაც უნდა კარგი იქნეს ქართული წარმოდგენა, ჩვენ მაინც არ ვივლით და არა ქართულ თეატრშიო, გადაუწყვეტიათ. ბევრსაც ჰკარგავენ, რადგან ჩვენი არტისტებიც გაფიცულან და გადაუწყვეტიათ—გავაკვირვოთ მაყურებელნი ჩვენის მუყაითობით და საქმის უნარითო. ამ სეზონში ეს მესამე წარმოდგენა გაიმართა, და ჩვენის თეატრის მოღვაწეთა სასახელოთ, ერთი მეორეს უკეთესად.

სუნდუკიანცის „დაქცეული ოჯახი“—შინაარსიანი და გონივრულად შედგენილი პიესაა. მაყურებელი ბევრს ჭკუის მასწავლებელს და ჩამაფიქრებელს რამეს გაიგონებს სცენიდან ამ პიესის წარმოდგენის დროს, განსაკუთრებით, როცა პიესის ავტორის აზრს ისეთი მთქმელი ინტერპრეტატორი (ამხსნელი) ჰყავს, როგორც ვ. აბაშიძე. გულბაანთ ოსეფა მეტის სინამდვილით და ძალით წარმოგვიდგინა თვალწინ არტისტმა ეს პატიოსანი და ცხოვრებაში ჩაკვირვებული ვაჭარი კაცი, აღშფოთებული იმ უგვანის მიმართულებით, რომელიც მისდა უნებურად მიიღო მისმა ცხოვრებამ, მწუხარე და ხმა მაღლა მგოდებელი ამ უკუღმართობის წინააღმდეგ. რომელ გონიერ მამას არ აღელვებდა და მწარედ არ ჩააფიქრებდა საკვირველის გრძნობითა და სიძლიერით წარმოთქმული ტირადა, რომელშიაც სრულის სინამდვილით დასურათხატებულია ეხლანდელი „განათლებული“ ქალი, ეს უნიადაგო, არაფრის არ მცოდნე და ყოვლად გამოუსადეგარი არსება. ვის არ ჩასწვდებოდა გულში ასეთის მწარის გრძნობით ნათქვამი სიტყვები: ღმერთო, ამისთანა ქალი დედად უნდა შეიქნეს და შვილი უნდა აღზარდოსო.

ვ. აბაშიძეს მხარს აძლევდნენ ყველა არტისტები (გარდა აბხაზიშვილისა); ყველამ როლი იცოდა, ყველა თავის ადგილას იყო და ამიტომაც ანსამბლიც მშვენიერი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. ჩერქეზიშვილისა (ხახო, ოსეფას მამიდა) და აწყურელის (გიქმოზე) საუცხოვო აღსრულება როლებისა. ჩერქეზიშვილის თამაშს ხუთშაბათს ძალიანაც რომ სცდილიყავით, ერთ უბრალო ნაკლსაც ვერ უპოვიდით; იგი ნამდვილი, ცოცხალი მამიდა ხახო იყო. ასეთივე იყო აწყურელიც.

ვოდევილი—„რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებს“, ცოცხლად და მხიარულად ჩაატარეს; განსაკუთრებით კარგი იყო ტ. აბაშიძე თავის მკვირცხლის მიხვრა-მოხვრით და ენით. იმედაშვილი თან და თან იწვრთნება და თუ შრომას არ უკლებს, შეიძლება სასარგებლო არტისტი დადგეს.

რეცენზენტი.

კავკასიის მეურნე მებაღეთა კრება

21 სექტემბერი

21 სექტემბრის კრებას დაესწრო 10-დე წევრი. წინანდელ ორი სხდომის ოქმების შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ ბ-ნმა ტარხოვმა წარუდგინა კრებას თავის მოხსენება კავკასიაში საშუალო ტიპის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ბ-ნი ტარხოვი მოხსენებაში ამბობს, რომ კავკასიაში ასეთი სასწავლებლის დაარსება მით უფრო სასურველია, რომ კავკასია ჰავითა და ნიადაგით ევროპის რუსეთს სრულებით არ ჰგავს და ამიტომ ადგილობრივ პირობათა შესასწავლად და სამეურნეო სკოლის მოქმედების მეტის ნაყოფიერობისათვის ადგილობრივ უნდა გაიხსნას სასწავლებელი. თუმცა 1898 წელშიაც გამოითქვა ასეთი აზრი, მაგრამ დღევანდლამდე ეს არ განხორციელებულა, რის მიზეზი, სხვათა შორის, მასწავლებელთა კონტინგენტის უქონლობა იყო; ახლა კი ასეთს სასწავლებელს ნიადაგი აქვს, მით უმეტეს, რომ ერთმა ადგილობრივმა მემამულემ კარგა მოზრდილი ადგილი დაუთმო სამინისტროს ასეთის სკოლის მოსათავსებლად. ტარხოვის აზრით, სასწავლებელი პროგრამით სრული უნდა იქმნეს. ადგილი სკოლას უნდა ექნეს არა ნაკლებ 5000 დესეტინისა. სასწავლებელში სწავლის კურსი 7 წელი უნდა იყოს და უმთავრესად უნდა ამზადებდეს ისეთ მეურნეთ, რომელთაც თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც ხელმძღვანელობა შეეძლოსთ მეურნეობის წარმოებისა. კავკასიაში კარგა ხანია გაისმის სურვილი პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, რაც მეტად რთული საქმეა, დიდი მატერიალური ძალაც ესაჭიროება. ხოლო საშუალო სამეურნეო სასწავლებელი იაფადაც დაჯდება და სარგებლობასაც მეტს მისცემს ადგილობრივ მეურნეთ. ამ მოხსენებამ კარგა ხნის კამათი გამოიწვია.

ბ-ნ **ნ. შავროვი** მიემხრო ბ. ტარხოვის აზრს და სთქვა, რომ ჩვენ უნდა ვეცადნეთ პრინციპიალურად გადაწყდეს განზრახულ სკოლის დაარსება და რაც საშუალებას შეეხება ყოველთვის გამოინახება. მაგ., ამ მიზნისათვის თავ. ზ. ერისთავმა 100 ათას მანეთად ღირებული ადგილი შესწირა და სხვებიც ასეთს შემწეობას სკოლას არ მოაკლებენ; თუ ჩვენ ამ ნაირად არ დავაყენეთ საკითხი, მაშინ ისეთსავე უხერხულს მდგომარეობაში ჩავვარდებით და რომ ვინმემ რამე შესწიროს ამ საქმეს სხვაზე დავხარჯოთ ისე, როგორც ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა, რომელიც საუნივერსიტეტო ფონდს ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად და სხვა საჭიროებისათვის ხარჯავს.

ი. გ. ქუთათელაძე. ძალიან უხერხულად მიმაჩნია კავკასიაში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ აღძრულის საკითხის დაკავშირება პოლიტეხნიკუმის დაარსებასთან; ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ საკითხი უკვე გარდაწყვეტილია და, ასეც რომ არ იყოს, ჩვენში მესაკუთრეობა ადგილ-მამულებისა ისეა, რომ რომელს მემამულეს შეეძლება იყოლიოს საშუალო სკოლაში კურს დასრულებული სპეციალისტი. ხოლო რაც შეეხება პოლიტეხნიკუმს, ეს უკვე გამოირკვა და ყველამ ერთ უსაჭიროეს მოთხოვნილებად იცნეს და კიდეც აღიძრა შუამდგომლობა მის დაარსების შესახებ, რაც მით უფრო სასურველია, რომ მასში სამრეწველო განყოფილებასთან იქმნება სამეურნეო განყოფილებაც.

ბ-ნი ტარხოვი. მე უარ არა ვყოფ პოლიტეხნიკუმის მნიშვნელობას კავკასიითვის, მხოლოდ აღვნიშნე რომელი უფრო უსაჭიროესი იქნება ჩვენთვის.

უმრავლესობა მიემხრო ბ-ნ ტარხოვის მოსაზრებას და გამოსთქვეს სურვილი ასეთი სკოლის დაარსებისა ამიერ კავკასიაში. სხვათა შორის, ამავე სხდომაზედ წაკითხულ იქმნა ქუთაისის სამეურნეო სკოლის გამგის ბ-ნ მკურნალის ვრცელი მოხსენება, რომელიც მიღებულ იქმნა მხედველობაში. ამ მოხსენების შინაარსს შემდეგ დავბეჭდავთ.

სასამართლო

(ქუთაისის თეატრში მომხდარი უწესოება)

18 სექტემბერი

18 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს დიდძალი საზოგადოება მოაწყდა: იმ დღეს ირჩეოდა „სტუდენტების საქმე“, ესე იგი თეატრში რომ არეულობა მოხდა ამა წლის 5 მაისს „ისრაელის შვილთა“ წარმოდგენის დროს. სამართალში არიან მიცემული სამი სტუდენტი: ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე კანდელაკი, კირილე ნინიძე და ილია აბხაიძე.

საქმის გარემოება შემდეგია: 5 მაისს ქუთაისის თეატრში გამართული იყო წარმოსადგენად პიესა „შვილნი ისრაელისა“; ასწიეს თუ არა ფარდა, ბალკონზე მყოფმა სტუდენტებმა: ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე კანდელაკმა, კირილე ნინიძემ და სხვებმა, ბრალდების ოქმის სიტყვით, ასტეხეს ისეთი ძლიერი ხმაურობა, რომ წარმოდგენის ყურისგდება შეუძლებელი შეიქნა. იქვე მყოფმა პოლიციის ბოქაულმა სთხოვა მათ—დაწყნარებულიყვნენ, მაგრამ ისინი მაინც შიშინებდნენ, სტვენდნენ, აბრახუნებდნენ ჯოხებით და სკამებით და ხმაურობდნენ. მაშინ ბალკონზე ავიდა პოლიცმეისტერი ლისოვსკი, რომელმაც მიმართა მათ წინადადებით: ან დაწყნარდით, ან და თეატრიდან წადითო, ძალით ნუ გამაყვანიებთ თავსო. «დაგვაჭირეთ და ძალით გაგვიყვანეთ—უპასუხეს ამაზე სტუდენტებმა—მაგრამ ნებით კი არ გავალთ, სანამ მაგ უმსგავსო წარმოდგენას

ივერიელი

არ დახურავთო"; ამავე დროს სტუდენტმა ლორთქიფანიძემ, იმავე ოქმის სიტყვით, მიმართა თეატრში მყოფ ხალხს შემდეგი სიტყვებით: „ვსთხოვ პატიოსან საზოგადოებას—ნუ უყურებს ამ საზიზღარ წარმოდგენას, რომელიც რყვნის დრამატიულ ხელობას, ამცირებს ერსა და შეურაცხყოფს სარწმუნოებრივ გრძნობას; ვინც თქვენში რიგიანია—წავიდეს თეატრიდან, და ვინც უპატიოსნო—ის თუნდ დარჩეს".—ამის შემდეგ გაისმა პოლიცმეისტრის ბრძანება: „ძალით გარეკეთ სტუდენტებიო", და თვალის დახამხამებაში იმათ მივარდნენ წინდაწინვე დამზადებული პოლიციელები, დარაჯები, სალდათები და შეიქნა უწყალო ცემა: მაგალითად, სტუდენტს ლორთქიფანიძეს მისცვინდნენ რამოდენიმე პოლიციელი და დაუწყეს იქით-აქეთ წევა, თითქო გახლეჩა უნდოდათო, მერე ასწიეს, ორ საქენზე სკამების თავებზე გადისროლეს და დაცემულს ისე დაუწყეს ცემა, რომ ვიღაც ამირაჯიბი იძულებული იყო თურმე საშველად ნაბადი გადაეფარებია იმისთვის; გამწარებული ლორთქიფანიძე, წამოდგა თუ არა, მარშალს ერისთავს მივარდა ხანჯალზე: „ან თავს მოვიკლავ ან სხვას მოვკლავო».

თეატრში რომ ამნაირი არეულობა იყო და სტუდენტები გარეთ გამოყავდათ დაჭერილი, ქუჩაზე თეატრის წინ, თავი შეიყარა კაიძალმა ხალხმა, რომელიც თვითონაც ისე, როგორც შიგნით, შიშინებდა, სტვენდა, ხმაურობდა და, როდესაც დაჭერილს სტუდენტს დაინახავდა, იძახოდა: „არ დაანებოთო". გარეთ გამოვიდა პოლიცმეისტერი და კვლავ გაისმა ბრძანება—გარეკეთ ხალხიო. შეუდგენ ბრძანების ასრულებას, მაგრამ ხალხიდგან დაურთეს ქვები. მაშინ პოლიცმესტერმა გამოითხოვა ჯარის რაზმი და შემოარტყა ქალაქის ბაღს, სადაც ხალხი შევიდა და საიდანაც ქვებს ისროდენ. როგორც იქნა, ხალხი დაიშალა.

შედეგი ამ არეულობისა: ორასამდე კაცი ერთი დღე და ღამე დაატუსაღეს და ზემოთ დასახელებული სამი სტუდენტი და აბხაიძე პასუხის გებაში მისცეს. სტუდენტებს ის ბრალი ედებათ, რომ იმათ შიშინით და ხმაურობით წარმოდგენის დროს მყუდროება და წესიერება დაარღვიეს და გარდა ამისა გარედ გამოყვანის დროს ხელით შეურაცხყვეს პოლიციის მოხელენი, დარაჯები და ჯარის-კაცები, სახელდობრ ვითომც 1) ნიკოლოოზ ლორთქიფანიძემ სილა გაარტყა „გოროდოვოის»მუშტი დაჰკრა ერთს ჯარის-კაცს და დარაჯს და ხელი უკიკავა დარაჯების უფროსს; 2) ალექსანდრე კანდელაკმა ორჯერ მუშტი ჰკრა გულში პოლიცმეისტრის თანაშემწეს, და 3) კირილე ნინიძემ რამდენჯერმე ჯოხი დაარტყა პოლიციელებს. ილია ბახტაძეს კი იმ დანაშაულობას აწერენ, ვითომც ხალხში ერია და ბაღიდან ქვას ესროდა პოლიციელებს.

ბრალდებულებმა მხოლოდ ის აღიარეს, რომ მართლაც ხმაურობდნენ წარმოდგენისათვის ხელის შესაშლელად; პოლიციელთა შეურაცხყოფა კი უარ-ჰყვეს: „ჩვენ კი არა, ისინი გვცემდნენ ისე, რომ თავი ძლივს ვიპატივეთო" აბხაიძემ კი ახლამდის არ იცის, რას აბრალებენ: „ჩემმა ბატონმა ოცხელმა საქმეზე გამგზავნა, მაგრამ პოლიციელებმა მტაცეს ხელი და ციხეში წამიყვანესო."

სტუდენტებს იცავდნენ ნაფიცი ვექილნი ბ. ბ. ქიქოძე და ფალავა, აბხაიძეს—ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ. გელაზაროვი.

მოწვეულია 66 მოწამე.

პროვინცია

დ. ზესტაფონი. როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, ზესტაფონში «სამარხი კასსა» უნდა დაგვიარსდეს ამ საქმეს მეთაურობს ამ ჟამად ბატ. ივანე არდიშვილი და წესდება შემუშავებული უკვე გაგზავნილია სამინისტროში დასამტკიცებლად. ამ საქმეს ყველა დიდის თანაგრძნობით ეკიდება, რადგან უეჭველი სარგებლობა ყველასათვის თვალსაჩინოა. წევრობის სურვილს ბევრი აცხადებს. ჯერ-ჯერობით, მათი რიცხვი 200-მდე ავიდა.

როგორც ამას წინად გწერდით, დაბა ყვირილაში უკვე გაიხსნა რკინის-გზის სასწავლებელი, სწავლა დაიწყება 25 ამ თვიდან, მსურველთა რიცხვს ჯერ-ჯერობით, 150. აღის. ეს სკოლა იმისთანა ტიპის სკოლა იქნება, როგორც ერთ კლასიან პირველ დაწყებითი სამინისტრო სკოლები არის.

როგორც შევიტყეთ, ზოგიერთ პირს განუზრახავს ზესტაფონში კერძო საქალებო პროგიმნაზიის გახსნა.

ბოლოს ხანებში ზესტაფონის პოლიციის მმართველობაში კიდევ ცვლილება მოხდა. მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილზე კოკუშკინის მაგიერ ტატიშვილია; ბოქაულის თანაშემწის ალიმუხიევის ადგილზე მიხა საყვარელიძე. ბოქაულის მამონოვის მაგიერ დაინიშნა შპაკოვსკი. «ბაზარნიკის» დაბართვსკის ადგილზე, კი ბახუტა ჩხეიძე. ამ რიგად ზესტაფონში თითქმის მთელი პოლიციის შტატი გამოიცვალა, მაგრამ ჩვენ აბურდულ დაბურდულ საქმეს მაინც არა ეშველა რა...

17 ენკენისთვეს აქ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა; წვიმა კოკის-პირულად წამოვიდა. შეიქნა ელვა-ქუხილი და შუადღის 1 საათზე ყვირილის სადგურის ქვემოთ მეხმა მოჰკლა მეისრე განო აბესაძე.

ამ სამი კვირის წინად ზესტაფონის მახლობელ სოფელ ცხრა წყაროში მოიტაცა ვიღაც თავზეხელ-აღებულმა ვაჟბატონმა მახათაძის ახალ-გაზრდა ლამაზი ქალი. დღემდის გამწარებულნი მშობლები ეძებენ, მაგრამ კვალიც კი ვერ მიუგნიათ. ამბობენ, ამ ქალის მოტაცებაში მთელი რომანი არისო.

მანოელიძე.

ქ. სიღნაღი. სიღნაღის თვით-მმართველობამ და მის რწმუნებულთ დაბადებიდანვე ცუდად მოხედეს სიღნაღის «იარმარკას» და სოფლელ მოვაჭრეთ. ვისაც სიღნაღი უნახავს, ის უეჭველად სიღნაღის ბაზრობასაც ნახავდა. სიღნაღში ყოველ დილით, უქმე დღეს თუ სადა დღეებში, სოფლებიდან შემოაქვთ სიღნაღში გასასყიდათ ყოველ-გვარი სანოვაგე. მოაქვთ ბაზარზე სასმელი თუ საჭმელი და მთლად ესენი კვებავენ სიღნაღის მცხოვრებლთ. ესენი მუდამ იაფად და რიგიან სანოვაგეს აყიდიებენ მოქალაქეთ და ეს, რასაკვირველია, თუ მცხოვრებთათვის ხელ საყრელია, მოვაჭრეთათვის კი არა სასიამოვნო და საზარალოც. და აი ამიტომ ამხედრდნენ კიდევაც სოფლელების წინაამდეგ და უნდათ აუკრძალონ ვაჭრობა. ბევრათ კიდევაც შეაფერხეს მათი ვაჭრობა და ახლა კი სულ უნდათ მოსპონ. უწინ სოფლელებს კარდა-კარ დაჰქონდათ ყოველივე სანოვაგე სავაჭროთ—მერე ეს აკრძალეს და ქვემო მოედანი დაუნიშნეს სავაჭროთ. შემდეგ ეს ადგილც აუკრძალეს და ზემო მოედანი მიუჩინეს. ესეც წაართვეს ერთ დროში და როცა მოქალაქემ ამ. შ. თავისი ადგილი დაუთმოთ სავაჭროდ, მაშინ და დართეს ნება ვაჭრობისა ზემო მოედანზე. ორის წლის წინათ ისევ ნორჩმა თვითმმართველობამ განიზრახა სრულებით აეკრძალა სოფლელი ხალხისათვის ბაზარში სანოვაგის გაყიდვა, მაგრამ ზოგიერთა არ მოვაჭრე ხმოსნები გამოექომაგნენ და იმითი დამთავრდა საქმე, რომ ნება მისცეს ვაჭრობისა ზამთარში საათის ექვსიდან 11-მდე ზაფხულში კი დილის საათის 8-დგან 10-დისინ. აი ახლა, წელს ხელ-მეორეთ აძრეს კითხვა და ისურვეს სულ მთლათ აუკრძალონ სოფლელებს სიღნაღის ბაზარში ვაჭრობა. ამისი მსურველია თვით ქალაქის მამასახლისი ტერ-ავაქოვიც და მისი განათლებულებში ჩაწერილი თანაშემწეც. თუმცა არც ერთი ამათგანი მოვაჭრე არ არის, მხოლოდ მოვაჭრეთა სასარგებლოთ და თავიანთ ხმის მისადებათ ჰკერძავენ ამ დუგმას მოვაჭრეებს. ყველასათვის აშკარაა, თუ მოვაჭრენი რათა სცდილობენ სოფლელების თავიდან აცილებას. იმათ, რასაკვირველია, უნდათ იაფ ფასად ჩაიგდონ ხელში სოფლის ნაწარმოები და მერე გადაკეთებული შეზავებული მეტ-ფასებში გაასაღონ ხალხზედ. მარტო ერთად-ერთი ხმოსანი ნ. ამირხანოვი გამოესარჩლა სოფლელთ ვაჭრობას და კანონის მოთხოვნილებისამებრ თხოულობს ნება მიეცეთ თავისუფალ ვაჭრობისა, ან ორის წლის წინად ამავე საგანზე დადგენილობა რწმუნებულთა დარჩეს ძალაშივე იმ განსხვავებით, რომ ნება დაერთოთ სოფლელებს საათის 11 საათამდის თავისუფლად ივაჭრონ. იმედია, ამას ადმინისტრაციაც წაექომაგება და დაიხსნიან სოფლელებს უკანონო განდევნისაგან ბაზრიდან და ჩვენ, მცხოვრებლთ,—გაჭირთა მაღა გაძვირებულ ცარცვა-გლეჯისგან.

მოქალაქე.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

21 სექტემბერი

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის წასვლის გამო მისი თანამდებობის ასრულება მიენდო უმთავრეს შტაბის უფროსს გენერალ ლეიტენანტს სახაროვს.

შინაგან საქმეთა მინისტრისგან, თანახმად სამარის გუბერნატორის მოხსენებისა, დაზარალებულად ცნობილია შემდეგი მაზრები სამარის გუბერნიისა: სამარის, ბუგულმინის, ნიკოლაევის, ნოვოუზენის და სტავროპოლის.

ასტრახანი. ასტრახანის გუბერნატორმა, ბაქოს გუბერნატორის თხოვნის მიხედვით, ურჩია მუშებს ბაქოში ნუ წახვალთო, რადგან იქ წარმოება შეჩერდა და სამუშაო ძნელად საშოვნია. თუ რომელიმე მუშა წავა ბაქოში, უკანვე გაისტუმრებენ.

ნიუ-იორკი. „კოლუმბიამ" მეორეთაც აჯობა „შამროკ"-ს, რომელსაც ერთის წუთით გაასწრო. გაჯიბრების დროს საშინელი ქარი ჰქროდა, მაგრამ მაინც მშვენივრად ჩაატარეს. „შამროკი" პირველად წინ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ოცის მილის გავლისა, „კოლუმბი"-მ გაასწრო და სულ წინ მიდიოდა გაჯიბრების გათავებამდე, გავლილი გზა სამ კუთხედს წარმოადგენდა.

კიევი. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომები დაიწყო. განიხილავენ უნივერსიტეტის შესახებ კითხვებს. საბჭომ განიხილა განსაკუთრებული კომისიის მოხსენება, რომელსაც კომისია ზაფხულის განმავლობაში თორმეტ სხდომაზე იხილავდა, თანახმად საერო განათლების მინისტრის მოთხოვნისა. კომისიის შრომა წარმოადგენს ვრცელ ორას გვერდიან დაბეჭდილ მოხსენებას, რომელიც ყველა პროფესსორებს დაურიგეს. ეხლა დაწვრილებით უნდა განიხილონ მოხსენება და პირველ ოქტომბრამდე წარუდგინონ ოლქის მზრუნველს მინისტრის გადასაცემად.

ბაქო. 19 სექტემბერს, ტერ-აკოფოვის ნავთის საწარმოო ადგილზე საბუნჩაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მოედო აგრეთვე კასპი შავიზღვის ნავთის საწარმოვო ადგილებს და ბაქოს ნავთის მილს. დაიწვა 40 «ვიშკა" და ორი რეზერუარი. ყველა ახალი «ვიშკები", რომელიც ივნისში გაჩენილ ცეცხლის შემდეგ გააკეთეს, ახლა სულ გაანადგურა ცეცხლმა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა, არ იციან. ზარალი 200,000 მანეთია.

კოპენჰაგენი. ფინანსთა მინისტრმა, რიგსდაგის თანხმობით, ისესხა ბანკის სინდიკატისაგან $3\frac{1}{2}\%$ 43000000 ფრანკი, რომლის ღირებულობა 96%. სინდიკატი შესდგება „კრედი ლიონი"-საგან, „ბანკ დე პარი" და „დე პეიბა"-საგან, ბერლინის „გერმანიის ბანკი"-საგან, ჰამბურგის „ვერენსის"და შვილ."-გან, «ნაციონალ ბანკისაგან, „კერძო ბანკი"-საგან, „საგლეხო ბანკი"-საგან, „სავაჭრო ბანკი"-საგან და სტოკჰოლმის „ენსკილ და ბანკი"-საგან.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—3)

ქუთაისის საქალაქო წყლის მილის სამთ ინჟენერის
ა. დ. მიხაილოვის და ამხ.
გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პირველ სერიის **პაიები** უკვე გაყიდულია და ამ ჟამად გამოცემულია მეორე სერიის **პაიები.** ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში გამგეობის კანტორაში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში და ქუთაისში ამხანაგობის კანტორაში. (3—2)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანები
ივ. მაჭავარიანისა:
გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2, 40
ბრჭყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა,